შპს „ეგრის-აუდიტი"
სარ/ნ SARAS-F-596572

LTD "EGRIS-AUDITI"
REG/N SARAS-F-596572

მისამართი: ქ. სენაკი ჭავჭავაძის ქ #25 ტელ: 555 47 99 26

Adress: chavchavadze str. N25 Tel: 555 47 99 26

# აუდიტორული დასკვნა

## AUDITOR CONCULUSION

ქ. სენაკი
SENAKI

16 აპრილი 2021 წელი
year

შპს „ფოთი ტვ"-ს 2020 წლის
საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე

შპს „ფოთი ტვ"-ს დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის №22 წერილისა და ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს. „ეგრის"-აუდიტის (ფირმის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-596572) აუდიტორმა ლევთერ ხოფერიამ სერთიფიკატი ზ№6/254, (ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-581044), ჩავატარე შპს „ფოთი ტვ"-ს 2020 წლის წლიური ბალანსისა და საფინანსოანგარიშგების საქმიანობის აუდიტი.

შპს „ფოთი ტვ"-ს იურიდიული მისამართია: ფოთი/ წმ. გიორგის 16 (ფაქტობრივი მისამართი: ფოთი, მშვიდობის 4), საქმიანობის სახე — რადიომაუწყებლობა.

რეგისტრაციის თარიღი 17.04.1976წელი, რეგისტრაციის № 10/4-561; ფოთის სასამართლოს მიერ.

მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 215083291

ანგარიშსწორებას ახორციელებს „თი ბი სი" ბანკის მეშვეობით

ანგარიშის № GE77TB0400000001467373

დამფუძნებლები: გოდერძი ქართველიშვილი 32%.

შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა" 68%

დირექტორი: გოდერძი ქართველიშვილი

შეფასებისას ვხელმძღვანელობდი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეკონომიკის სამინისტროსა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ინსტრუქციებით და ნორმებით.

აუდიტორული დასკვნა მოიცავს 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. განხილულ იქნა მოცემული პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის, მარაგების დებიტორ-კრედიტორების, მოგება-ზარალის ანგარიშგების აუდიტი. წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების დირექტორს. ჩვენ გვევალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ შესაბამისი დასკვნა.

აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმდაგვარ დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, რომ შეიცავს თუ არა ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულების შემოწმებას, ტესტირების საფუძველზე ანგარიშგებაში ასახული თანხების დადასტურების მიზნით. ასევე აუდიტი გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. მჯერა რომ ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესაძენად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფინანსური საქმიანობის ანალიზი მოიცავს ერთ კალენდარულ წელს.

მოცემულ პერიოდში შემოსავალმა შეადგინა სულ 10795 ლარი.

მათ შორის: შემოსავალი რეალიზაციიდან – 10195 ლარი. ფინანსური შემოსავალი – 600 ლარი (საშემოსავლო შეღავათი).

მოცემულ პერიოდში საოპერაციო ხარჯების გასავალმა შეადგინა 10353,21 ლარი.

მათ შორის: შრომის ანაზღაურება – 5744,92 ლარი. ელექტროენერგიის ხარჯები – 3583,43 ლარი, შესყიდვები ზედნადებით – 150 ლარი, ხელშეკრულებით – 149,70 ლარი, საბანკო ხარჯი – 69,88 ლარი.

საწარმოს დაერიცხა ძირითადი საშუალებების ცვეთა – 557,58 ლარი.

საპენსიო დანამატი 2% – 57.40 ლარი;

შეძენილი ძირითადი საშუალებები – 0 ლარი;

თვისის ალჭურვილობა – 0 ლარი;

ბიუჯეტის გადასახადები:

საშემოსავლო გადასახადი – 537,50 ლარი, ქონების გადასახადი 40,30 ლარი; მოგების გადასახადი 0 ლარი; გადასხდილი დღგ – 0 ლარი.

საშემოსავლო გადასახადის საშეღავათო თანხა შეადგენს – 600 ლარს და ბალანსში ასახულია ფინანსურ შემოსავლებში.

საწარმოს 2021 წლის 1 იანვრისთვის ერიცხება საკუთარი კაპიტალი სულ 3750,79 ლარი, მათ შორის: საწესდებო კაპიტალი 2000 ლარი, სარეზერვო კაპიტალი 1750,79 ლარი.

საანგარიშო პერიოდში შპს-ს მოგება შეადგენს 441,79 ლარს.

საზოგადოების აქტივებმა საანგარიშო წლის ბოლოს შეადგინა 3750,79 ლარი. მათ შორის:

– ფულადი საშუალება – 0 ლარი;

– შენობა-ნაგებობები - 0 ლარი;

– თვისის ალჭურვილობა – 540,79 ლარი;

– გადამცემი მოწყობილობები – 3210 ლარი;

– მიწა – 0 ლარი.

აუდიტორული შემოწმების შედეგად მივიჩნია საწარმოს საფინანსო საქმიანობა სწორად არის წარმართული, რის შედეგადაც 2020 წელს გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა შეფასდა დადებითად.

შპს „ეგრის-აუდიტი"-ს სენაკის

წარმომადგენელი: /ი. ტაბალუა/

აუდიტორი: /ლ. ხოფერია/